ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

# ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

002490122

**ექსპერტის დასკვნა № 002490122**

## გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

დასახელება:

თანამდებობა: მერის მოვალეობის შემსრულებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: მანუჩარ რობაქიძე

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები:**

ბაჩუკი ჩხარტიშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომობილის "VAZ 21061" მსუბუქი (სახ. ნომრით DAS-888) ტექნიკური მდგომარეობა.

შემოსვლის თარიღი: 11/04/2022 წ

გასვლის თარიღი: 19/04/2022 წ

## დასკვნა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი, სედანის ტიპის ავტომობილი „VAZ 21061", სახელმწიფო ნომრით №: DAS-888, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და იგი უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

## გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია სედანის ტიპის ავტომობილი „VAZ 21061", სახელმწიფო ნომრით №: DAS-888, რომლის ვიზუალური დათვალიერება მოხდა ქ. თერჯოლაში არსებულ დაცული ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ავტომობილის ინტერიერს და ექსტერიერს აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვლები, საღებავის აშრევების, განაკაწრების, თუნუქის ფენის დეფორმაციის,

მცირე კოროზიის და ა.შ. სახით. გარდა საექსპლუატაციო ცვეთისა ავტომობილს დაზიანებული, დეფორმირებული და განკომპლექტებული აქვს: წინა ბამპერი, ცხაურა, წინა მარჯვენა და მარცხენა თვლების დაკიდების მაკომპლექტებელი დეტალები, ძრავის სახურავი, წინა საქარე მინა, ძარის სახურავი, წინა მარჯვენა და მარცხენა მაშუქი ფარი, წინა მარჯვენა და მარცხენა კარი მაკომპლექტებელი დეტალებით, უკანა მარჯვენა და მარცხენა კარი მაკომპლექტებელი დეტალებით, წინა მარჯვენა და მარცხენა მოხვევის მაჩვენებელი ციმციმა, წინა მარჯვენა ფრთა, მარჯვენა და მარცხენა საქარე მინა, ძრავი, გადაცემათა კოლოფი, ელ. სისტემები, უკანა მარჯვენა და მარცხენა თვალის დაკიდების მაკომპლექტებელი დეტალები, წინა მარჯვენა და მარცხენა, უკანა მარჯვენა და მარცხენა დისკ-საბურავები, უკანა მარჯვენა და მარცხენა მაშუქი ფარები, ავტომობილის ბაქანზე მოწყობილი ნარჩენების შემგროვებელი აგრეგატი მაკომპლექტებელი დეტალებით, ინტერიერის მაკომპლექტებელი დეტალები და ა.შ. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ავტომობილი, მისი ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და იგი უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი, სედანის ტიპის ავტომობილი „VAZ 21061", სახელმწიფო ნომრით №: DAS-888, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და იგი უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ლევან სიმონიშვილი

## ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12